ტესტი ისტორიაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილზე.

წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისთვის განკუთვნილი ადგილები.

ყოველ შეკითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ აბიტურიენტს ეძლევა 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-29.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. დამწერლობის რომელ ტიპს განეკუთვნება ურარტუს მეფეთა წარწერები, სადაც შემონახულია ცნობები კოლხას შესახებ?

ა. ანბანურს

ბ. იეროგლიფურს

გ. ლურსმულს

დ. სილაბურს

2. სად დაუპირისპირდა ერთმანეთს პირველად კართაგენისა და რომის ინტერესები?

ა. მცირე აზიის ნახევარკუნძულზე

ბ. ჩრდილოეთ აფრიკაში

გ. ბალკანეთის სამხრეთში

დ. კუნძულ სიცილიაზე

3. რა სახით ჩაერთო ქართლის სამეფო პართიასა და რომს შორის სომხეთისათვის I საუკუნეში მიმდინარე ბრძოლაში?

ა. ქართლის სამეფოს ჯარმა სომხეთში ილაშქრა, დაამარცხა იქ გაბატონებული პართიელები და ტახტი ქართველმა უფლისწულმა დაიკავა

ბ. პართიასთან დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულებით ქართლის სამეფო რომს დაუპირისპირდა და სომხეთში ქართველი პიტიახში გაიგზავნა

გ. ქართლის სამეფო მოლაპარაკებას აწარმოებდა პართიასთან და საბოლოოდ სომხეთი ქართლის ვასალად გამოცხადდა

დ. ქართლის მეფემ ისარგებლა პართიისა და რომის დაპირისპირებით და სომხური მიწები უშუალოდ შემოიერთა

4. სხვა ფაქტორებთან ერთად, რა ადასტურებდა ქართლის სამეფო კარის ანტიირანულ განწყობას IV საუკუნეში?

ა. დინასტიისთვის სახელის შეცვლა

ბ. მოგვების სიკვდილით დასჯა

გ. დედაქალაქის მცხეთაში გადმოტანა

დ. ქრისტიანობის მიღება

5. რომელი მსჯელობაა მართებული სასანიანთა ირანის რელიგიური პოლიტიკის შესახებ ქართლში VI საუკუნეში?

ა. გამოცხადდა სრული რელიგიური თავისუფლება

ბ. დაწესდა სულადობრივი გადასახადი ქრისტიანებისთვის

გ. დაიწყო მონოფიზიტური მიმდინარეობის აქტიური მხარდაჭერა

დ. მხოლოდ ცეცხლთაყვანისმცემლებს მიეცათ სამხედრო სამსახურის უფლება

6. რა დადგენილება მიიღო VII მსოფლიო საეკლესიო კრებამ?

ა. აღადგინა მონოფიზიტობა

ბ. დაგმო ხატმებრძოლეობა

გ. ანათემას გადასცა რომის პაპი

დ. გააუქმა ეკლესიების ავტოკეფალია

7. რატომ ითვლება კარლოს დიდი ფრანკთა იმპერიის დამაარსებლად?

ა. კარლოსი იყო ახალი სამეფო დინასტიის პირველი წარმომადგენელი

ბ. დასავლეთ რომის იმპერატორმა კარლოსი აღიარა პირველ ლეგიტიმურ მმართველად

გ. კარლოსმა ფრანკთა იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა

დ. კარლოსი იყო პირველი ფრანკი მმართველი, რომელიც რომის პაპმა იმპერატორად აკურთხა

8. რომელი ქართული პოლიტიკური ერთეული *არ მონაწილეობდა* X საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს გაერთიანების პროცესში?

ა. კახეთის საქორეპისკოპოსო

ბ. ქართველთა სამეფო

გ. აფხაზთა სამეფო

დ. იმერეთის სამეფო

9. რატომ აღმოჩნდა მანასკერტთან ბრძოლა გადამწყვეტი ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკების დაპირისპირებაში?

ა. ნათელი გახდა, რომ ბიზანტიას შესწევდა ძალა, წარმატებით დაეცვა თავისი სამფლობელოები სამხრეთ კავკასიაში

ბ. განადგურდა თურქ-სელჩუკთა ელიტარული სამხედრო ნაწილები, რითაც შეჩერდა მათი წინსვლა მცირე აზიისკენ

გ. თურქ-სელჩუკებმა სასტიკად დაამარცხეს ბიზანტია და გაბატონდნენ იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში

დ. ბიზანტიის დამარცხების შემდეგ თურქ-სელჩუკები ადვილად გადავიდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე

10. რა გახდა მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყების უშუალო მიზეზი?

ა. მუსლიმთა მიერ ედესის დაკავება

ბ. სელჩუკთა ჯარის მიერ დამასკოს აოხრება

გ. ბაღდადის ხალიფას მიერ ალექსანდრიის აღება

დ. მომთაბარეთა ლაშქრის მიერ ნიკეის ალყაში მოქცევა

11. რა ეწოდებოდათ ტყვედ აყვანილ ახალგაზრდა ვაჟებს, რომლებიც შემდგომ ოსმალეთის არმიაში მსახურობდნენ?

ა. ბედუინები

ბ. შაჰისევანები

გ. იანიჩარები

დ. ღოლამები

12. რომელი მსჯელობაა მართებული 1389 წელს კოსოვოს ველზე მომხდარი ბრძოლის შესახებ?

ა. ოსმალებმა დაამარცხეს სერბეთის მეფის ჯარი

ბ. ევროპელი ჯვაროსნების კოალიციამ ოსმალთა წინსვლა შეაჩერა

გ. თემურ-ლენგის ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა ოსმალები

დ. ოსმალთა ჯარმა გაანადგურა ბიზანტიის არმია

13. რა ზომას მიმართა რომის პაპმა ლუთერის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის მიერ „95 თეზისის“ გამოქვეყნების საპასუხოდ?

ა. დააპატიმრა და კოცონზე დაწვა მიუსაჯა

ბ. წოდება ჩამოართვა და ქვეყნიდან გააძევა

გ. მწვალებლად გამოაცხადა და ეკლესიიდან განკვეთა

დ. საჯაროდ შეაჩვენა და შორეულ მონასტერში გამოკეტა

14. ვისი აქტიური მოღვაწეობით გამოიცა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი?

ა. პროხორე ქართველის

ბ. ნიკიფორე ირბახის

გ. იოანე პეტრიწის

დ. გაიოზ რექტორის

15. ვინ იყო „ვალის“ ტიტულის პირველი მფლობელი საქართველოში?

ა. შაჰნავაზი

ბ. როსტომ-ხანი

გ. ნაზარალი-ხანი

დ. იმამ-ყული-ხანი

16. ვის სახელს უკავშირდება XVII საუკუნის 60-70-იან წლებში საფრანგეთში განხორციელებული მერკანტილიზმის ეკონომიკური პოლიტიკა?

ა. კოლბერის

ბ. დიდროს

გ. ბრისოს

დ. სეიესის

17. ვინ იყვნენ არქანჯელო ლამბერტი და კრისტოფორო კასტელი?

ა. ესპანეთის მეფის ელჩები

ბ. კათოლიკე მისიონერები

გ. იეზუიტთა ორდენის წევრები

დ. გერმანიის იმპერატორის დესპანები

18. რომელმა ორგანომ მიიღო საფრანგეთში „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ 1789 წელს?

ა. წარმომადგენელთა პალატამ

ბ. დამფუძნებელმა კრებამ

გ. დირექტორიამ

დ. კონვენტმა

19. ვინ გაატარა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში XVIII საუკუნეში?

ა. დარეჯან დედოფალმა

ბ. სოლომონ I-მა

გ. ლევან I-მა დადიანმა

დ. დომენტი კათოლიკოსმა

20. რაში გამოიხატა ვენის კონგრესზე მის მონაწილე სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობები?

ა. საფრანგეთის, ავსტრიისა და დიდი ბრიტანეთის საიდუმლო კავშირის შექმნაში

ბ. პრუსიის, საფრანგეთისა და რუსეთის მიერ საღვთო ლიგის ჩამოყალიბებაში

გ. რუსეთის, ავსტრიისა და საფრანგეთის მიერ კოალიციის აღდგენაში

დ. საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის ანტანტაში გაწევრიანებაში

21. რომელ ქვეყანაში დასრულდა წარმატებით რევოლუცია 1848 წელს?

ა. საფრანგეთში

ბ. უნგრეთში

გ. პრუსიაში

დ. რუსეთში

22. XIX საუკუნის 20-იან წლებში ქართველ მოღვაწეთა ნაწილი ქმნის საიდუმლო ჯგუფებს, რომელთა მიზანიც საერთო ქართული აჯანყების მოწყობა იყო. რატომ ჩამოყალიბდა პირველი ასეთი ჯგუფი პეტერბურგში?

ა. ეს ქალაქი წარმოადგენდა იმპერიის პოლიტიკურ ცენტრს და აჯანყების დაწყება აქ ჯობდა

ბ. ამ ქალაქში მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილთა წრეში გაჩნდა აჯანყების იდეა

გ. ეს ქალაქი ახლოს იყო საზღვართან და ადვილი იყო კავშირის დამყარება ევროპასთან

დ. ამ ქალაქის მმართველობაში ქართველებს მაღალი თანამდებობები ეკავათ

23. რაში გამოიხატა XIX საუკუნის 40-იან წლებში კავკასიაში მმართველობის სისტემის რეფორმირება?

ა. საქართველო-იმერეთის გუბერნიის შექმნაში

ბ. ტფილისისა და ქუთაისის სამოურავოების ჩამოყალიბებაში

გ. საქართველოს ავტონომიური მხარის დაფუძნებაში

დ. აჭარისა და აფხაზეთის ოლქების დაარსებაში

24. სხვა ფაქტებთან ერთად, რა მიუთითებდა XIX საუკუნის შუა ხანებში რუსეთის იმპერიის კრიზისზე?

ა. აჯანყებები სამხრეთ კავკასიაში

ბ. სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნა

გ. ყირიმის ომში დამარცხება

დ. იმპერატორის მკვლელობა

25. იტალიის ისტორიასთან დაკავშირებულ რა მოვლენას ეწოდება რისორჯიმენტო?

ა. პაპის მიერ საერო ძალაუფლების მოპოვებას

ბ. ბრძოლას ქვეყნის გაერთიანებისთვის

გ. მეცნიერებისა და ხელოვნების აღორძინებას

დ. ქვეყნიდან მუსლიმთა განდევნას

26. რომელი დოკუმენტის საფუძველზე მიეცა კომუნისტურ პარტიას საქართველოში ლეგალურად საქმიანობის უფლება 1920 წელს?

ა. სახელმწიფოში მოქმედი კონსტიტუციის

ბ. საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების

გ. დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილების

დ. საერთაშორისო სამართლის კონვენციის

27. რომელი მსჯელობაა მართებული ვერსალის ზავთან დაკავშირებით?

ა. საზავო პირობები მეტ-ნაკლებად მისაღები იყო ყველა მხარისთვის და ამან უზრუნველყო მშვიდობა შემდგომი ნახევარი საუკუნის მანძილზე

ბ. გამარჯვებულებმა გამოიყენეს ხელსაყრელი ვითარება და ზავის საბოლოო ტექსტში შეცვალეს ერთა ლიგაში განხილული პირობები

გ. საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურმა მონაწილეობამ საზავო მოლაპარაკებებში მნიშვნელოვნად განაპირობა ზავის სამართლიანობა

დ. დამარცხებულთათვის წაყენებულმა ძალიან მძიმე პირობებმა გარკვეულწილად განაპირობა შემდგომში ახალი მსოფლიო ომის დაწყება

28. II მსოფლიო ომის დროს განხორციელებულ რომელ სამხედრო ოპერაციას ეწოდებოდა „ოვერლორდი“?

ა. ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილე სახელმწიფოების სამხედრო ნაწილების გადასხმას ჩრდილოეთ საფრანგეთში

ბ. იალტის კონფერენციის მონაწილე ყველა სახელმწიფოს სამხედრო ქვედანაყოფების შეჭრას სიცილიასა და აპენინის ნახევარკუნძულზე

გ. ანტიკომინტერნული პაქტის წევრი სახელმწიფოების სამხედრო შენაერთების მიერ პლაცდარმის შექმნას ბალკანეთზე

დ. პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებების საფუძველზე შექმნილი გაერთიანებული ძალების მიერ აღმოსავლეთ ევროპის დაკავებას

29. რომელი მსჯელობაა მართებული „ვარშავის პაქტის“ ორგანიზაციის დაშლასთან დაკავშირებით?

ა. ორგანიზაციის დაშლას ხელი შეუწყო პრეზიდენტ ტრუმენის მიერ ვარსკვლავური ომების დოქტრინის წამოყენებამ

ბ. ორგანიზაციის დაშლა გამოიწვია განვითარებად ქვეყნებში დაწყებულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ

გ. ორგანიზაციის დაშლა მნიშვნელოვანწილად განაპირობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალისტური რეჟიმების დამხობამ

დ. ორგანიზაციის დაშლა საბჭოთა კავშირში ხრუშჩოვის მიერ განხორციელებული დემოკრატიზაციის შედეგი იყო

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 30-32.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები ან პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

30. დაალაგეთ ქრონოლოგიურად ძველი საბერძნეთის ისტორიასთან დაკავშირებული პიროვნებები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით:

1. პერიკლე
2. კლისთენე
3. სოლონი

31. დაალაგეთ ქრონოლოგიურად XVII საუკუნის ინგლისის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. კრომველის ერთპიროვნული მმართველობის ანუ პროტექტორატის დაწესება
2. „ახალი ნიმუშის“ ანუ „ახალი მოდელის“ არმიის ჩამოყალიბება
3. ინგლისის რესპუბლიკად გამოცხადება

32. დაალაგეთ ქრონოლოგიურად XIX საუკუნის საქართველოში მომხდარი მოვლენები:

1. ქართული თეატრის აღდგენა
2. სათავადაზნაურო ბანკის დაარსება თბილისში
3. რუსეთის ხელისუფლების მიერ გურიის სამთავროს გაუქმება

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 33-34.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. №33 დავალების მაქსიმალური ქულაა 5, ხოლო №34-ის - 4.

ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

დავალება 33.

1

2

ორივე ილუსტრაცია ეხება ერთ ისტორიულ მოვლენას - დაპირისპირებას ევროპის ორ სახელმწიფოს შორის.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **33.1.** რომელ სახელმწიფოთა შორის მომხდარ დაპირისპირებას ეხება ილუსტრაციები?

(1) **33.2.** დაასახელეთ ამ დაპირისპირებაში მონაწილე ერთ-ერთი პიროვნება, რომელიც ილუსტრაციაზეც არის გამოსახული.

(1) **33.3.** რა არის №2 ილუსტრაციის მთავარი იდეა? თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.

(1) **33.4.** დაასახელეთ ერთი კონკრეტული შედეგი, რომელიც დამარცხებულ სახელმწიფოს ამ დაპირისპირებამ მოუტანა.

(1) **33.5.** რატომ იყო მნიშვნელოვანი ევროპისთვის ამ დაპირისპირების შედეგი? თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ.

დავალება 34.

წელიწადი 2-რე № 17

ხუთშაბათი 20 იუნისი 1918 წ.

რედაქტორი	გამომცემელი
კასტო მიქელაძე	ანტერპარტიული ქალთა ლიგა.

ხმა ქართველი ქალისა

რედაქციისაგან.
კანტორა ღიაა დილის 9 საათ. 3 საათამდე' საღ. 5 ს.--8 საათამდე. ავტორის მიერ ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ დაბეჭდავს. რედაქციის მისამართი ქ. ქუთაისი პუშკინის ქ. № 12 სახლი ჭეიშვილისა შესახვლელი ჭიშკრიდან ეზოში

ფასი 25 კ ყოველ კვირეული საპოლიტიკო საშეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი | ფასი 25 კ

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **34.1.** რა ეწოდებოდა ოფიციალურად სახელმწიფოს, სადაც, ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, გამოვიდა გაზეთის აღნიშნული ნომერი?

(1) **34.2.** ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, რომელ წელს დაიწყო გაზეთის გამოცემა?

(1) **34.3.** ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, რა ორგანიზაცია გამოსცემდა გაზეთს?

(1) **34.4.** ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, რა იდეას უწევდა პროპაგანდას გაზეთი?

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 35 და 36.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით.

35. საქართველო და მონღოლები

XIII საუკუნის 50-იან წლებში საქართველოს მეფე დავით VII-მ მონღოლთა ყაენისგან მიიღო ბრძანება ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის თაობაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოწვეულ თათბირზე ქართველ დიდებულთა ნაწილი ემხრობოდა ლაშქრობაში მონაწილეობას, ნაწილი კი - არა.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ლაშქრობაში მონაწილეობის მომხრე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ლაშქრობაში მონაწილეობის მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

36. მონობა აშშ-ში

XIX საუკუნის შუა ხანებში აშშ-ში სულ უფრო მწვავდებოდა დისკუსია სახელმწიფოში მონობის არსებობის თაობაზე. საზოგადოების ნაწილი მონობის გაუქმების მომხრე იყო, ხოლო ნაწილი - წინააღმდეგი.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც მონობის გაუქმების მომხრე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც მონობის გაუქმების მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

ინსტრუქცია დავალებისთვის №37.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

დავალება 37.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **37.1.** რა სახელწოდებითაა ცნობილი ის ისტორიული მოვლენა, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენდა რუკაზე ასახული ექსპედიციები?

(2) **37.2.** რომელი სახელმწიფოდან განხორციელდა ყავისფერი ისრით აღნიშნული ექსპედიცია და ვინ იყო მისი ხელმძღვანელი?

(2) **37.3.** რომელი სახელმწიფოდან განხორციელდა მწვანე ფერის ისრით აღნიშნული ექსპედიცია და ვინ იყო მისი ხელმძღვანელი?

(1) **37.4.** ვისი ხელმძღვანელობით შემდგარი ექსპედიცია განხორციელდა უფრო ადრე?

(1) **37.5.** რა იყო ყავისფერი ისრით აღნიშნული ექსპედიციის თავდაპირველი მიზანი?

(1) **37.6.** დაასახელეთ ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენა, რომელმაც ბიძგი მისცა რუკაზე აღნიშნულ ექსპედიციებს. თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ.

ინსტრუქცია დავალებისთვის №38.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

დავალება 38. ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრებიდან“

„თამარის სამეფო წარმატებული ხდებოდა და დღითი-დღე იზრდებოდა. ქალაქი კარი თურქებს ჰქონდათ. თამარმა ალყის შემოსარტყმელად ლაშქარი გაგზავნა. თურქებმა გაიგეს, კარი დატოვეს და გაიქცნენ. მეფემ აიღო კარი და მის მცველად ივანე ახალციხელი დატოვა და უბოძა მონაპირეობა და ამირთამირობა. ივანემ მტერს მრავალი ქვეყანა წაართვა. მეფესთან მახარობელი გამოგზავნა და მადლობა დაიმსახურა.

ეს ესმა სულთანს, რომელიც ბატონობდა დიდ საბერძნეთში, აზიასა და კაპადოკიაში. მან თავის მრავალრიცხოვან ლაშქარს მოუწოდა, მეფესთან მოციქული გამოგზავნა და წერილი გამოატანა. მოციქული როცა მოვიდა და მეფე თამართან შეიყვანეს, წერილი გადასცა, წარუდგა და დანაბარები

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

უკადრებელი სიტყვები წარმოსთქვა. თავხედური სიტყვები რომ წარმოსთქვა, წამოდგა ზაქარია ამირსპასალარი და სახეზე მუშტი დაჰკრა. როგორც მკვდარი დაეცა და ეგდო. ასწიეს, ფეხზე დააყენეს, საპასუხო წერილი მისცეს, მწვავე პასუხით გაგზავნეს.

მოუწოდეს იმერთა და ამერთა ლაშქარს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. ჯავახეთში შეიკრიბნენ. თამარი ვარძიაში წავიდა ვარძიის ღვთისმშობლის წინაშე. ვარძიიდან გაატანა თავისი სვიანი და ბედნიერად ნატარები დროშა. ლაშქარი გაემართა. დავით მეფემ ისე გააკეთა, რომ ლაშქარი ზევითკენ წაიყვანა, სადაც დაბანაკებული იყო სულთანი. მივიდნენ სულთნის ბანაკთან. ატყდა ფიცხელი და ძლიერი ბრძოლა. გაწყდნენ მებრძოლები ორივე მხარეს, უფრო მეტად სულთნის ლაშქარი წყდებოდა.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ომი ისე გაგრძელდა, რომ ცხენი მოუკლეს ივანე მსახურთუხუცესს, ზაქარია გაგელს, შალვა და ივანე ახალციხელებს, თაყაიდან თმოგველს. ქართველებს კინაღამ გასაქცევად გაუხდათ საქმე. როცა დავითმა ეს იხილა, მან ერთ მხრისკენ გაარიდა თავი, ზაქარია ამირსპასალარმა - მარჯვენა მხრისკენ და როგორც მონადირე გაეკიდება ნადირს, ისეთი სისწრაფით დაესხნენ თავს მტერს. მისი სიმრავლე უცბად შეირყა, იძლია და დაიფანტა. ქართველები ღამის დადგომამდე დევნიდნენ მტერს, ხოცავდნენ, ძირს ყრიდნენ და ტყვედ აჰყავდათ.

დღითი-დღე წარმატებებსა და განდიდებაში იმყოფებოდა უბრწყინვალესი თამარი. იშვებდნენ და ხარობდნენ სამეფოში. ნადირობდნენ გეგუთსა და აჯამეთში. შემდეგ ქართლში, სომხითში გადმოდიოდნენ, დვინში შეჩერდებოდნენ. ხარკით მოდიოდნენ განჯელები, ნახჭევნელები. წავიდოდნენ კოლაში, არტაანის თავში, საიდანაც მოჰქონდათ ხარკი კარნუდან.

ზაქარია ამირსპასალარი და ივანე მსახურთუხუცესი და ვარამ გაგელი მეფესთან მოვიდნენ და უთხრეს: „ძლიერო ხელმწიფევ, თქვენი მეომრების საქმეები დავიწყებას რომ არ მიეცეს, ბრძანოს თქვენმა მეფობამ, რათა ავამხედროთ ისინი ხორასნის წინააღმდეგ. აღმოსავლეთის ყველა ლაშქარმა შეიტყოს ჩვენი ძალა და სიმხნე. უბრძანე საქართველოს ლაშქარს, მზად იყვნენ ხორასანზე გასალაშქრებლად.“

მეფემ ნათქვამი მოისმინა. მოუწოდა სამეფოს ყველა წარჩინებულს, ამერსა და იმერს. გადაწყვიტეს ლაშქრობა. დაიწყეს სამზადისი. მეფემ გამოიტანა გორგასლიანი და დავითიანი დროშა და ვარძიის

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

ღვთისმშობელს შეავედრა ლაშქარი. დროშა ზაქარია ამირსპასალარს მისცა და სპარსეთისკენ გაეშურნენ.

ქალაქ გურგანამდე მიაღწიეს და ის ქვეყანა მოარბიეს. ალაფით ისე იყვნენ დატვირთულები, რომ წინ ვეღარ წავიდნენ. გამარჯვებული და ძლევამოსილი ქართველები შემობრუნდნენ. თბილისში მოვიდნენ მეფესთან. შევიდნენ ისანში. მეფე სამეფო ტახტზე დაბრძანდა. შემოიტანეს ურიცხვი ძღვენი და მეფის წინაშე დადეს. მეფე გაოცდა, ქართველთაგან არავის არ ენახა ესოდენი სიმდიდრე და აურაცხელი თვალ-მარგალიტი. მრავალი წყალობა მისცეს ობლებსა და გლახაკებს. ლაშქარს დიდი განძი გაუნაწილეს.

გარდაიცვალა ზაქარია ამირსპასალარი. მაშინ მეფემ მოუწოდა ზაქარიას ძმას, ივანე მსახურთუხუცესს. უნდოდა მისი ძმის პატივში აყვანა, ამირსპასალარობის ბოძება. ამით გაკვირვებულმა ივანემ მეფეს უთხრა: ეს პატივი დიდად დიდია და მე მისი ღირსი არ ვარ, მის ნაცვლად ათაბაგობა მიბოძეო. მეფემ აღასრულა და უბოძა ათაბაგობა. მსახურთუხუცესობა უბოძეს ვარამ გაგელს.

იმ ხანებში მთიულებმა: ფხოველებმა და დიდოელებმა განდგომა დაიწყეს. მეფემ მოუწოდა ათაბაგს და გაგზავნა განდგომილთა წინააღმდეგ. სამი თვე: ივნისი, ივლისი და აგვისტო იქ გაატარეს. ათაბაგის მიერ შევიწროებულებმა მძევლები მისცეს და სამსახურის ნიშნად ხარკი და სიმტკიცის პირობა აღუთქვეს.

თამარ მეფე გარდაიცვალა, როცა ტაბახმელაში იმყოფებოდა. გელათში, მათ სამკვიდრებელში, წაასვენეს და დაკრძალეს. სამეფო თავის ძეს, ლაშას დაუტოვა“.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

(1) **38.1.** წყაროში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რა კონკრეტულმა ფაქტმა გადააწყვეტინა სულთანს საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრება?

(1) **38.2.** წყაროს მიხედვით, რატომ ვეღარ შეძლო ქართველთა მხედრობამ მეტი წინსვლა ხორასანზე ლაშქრობისას?

(1) **38.3.** რატომ ეწოდებოდა ქართველთა დროშას „გორგასლიანი და დავითიანი“?

(1) **38.4.** წყაროს მიხედვით, როგორ გამოიყენა თამარ მეფემ ხორასანზე ლაშქრობის შემდეგ მისთვის მირთმეული ძღვენი?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **38.5.** რა სახელითაა ცნობილი ისტორიაში სულთნის წინააღმდეგ გამართული ბრძოლა, რომელზეც მემატიანე მოგვითხრობს?

(1) **38.6.** მოიტანეთ ნაწყვეტი წყაროდან, რომელიც ადასტურებს, რომ თამარ მეფე ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებას.

(1) **38.7.** რას ნიშნავს, რომ ფხოველებმა და დიდოელებმა „სიმტკიცის პირობა აღუთქვეს“ და რატომ მოიქცნენ ასე?

(2) **38.8.** წყაროს მიხედვით, რა დავალებები ჰქონდა სულთნის მოციქულს თავისი მბრძანებლისგან?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **38.9.** წყაროს მიხედვით, რა მანევრი განახორციელეს ქართველებმა სულთანთან ბრძოლისას და რა იყო ამის მიზეზი?

(2) **38.10.** სრულად ჩამოთვალეთ წყაროში დასახელებული ქალაქები, რომლებიც საქართველოსთან ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ და რაში გამოიხატებოდა ეს ვასალობა?

(2) **38.11.** წყაროს მიხედვით, რა არგუმენტებით უსაბუთებდა ზაქარია მეფეს ხორასანში ლაშქრობის საჭიროებას?

(2) **38.12.** წყაროში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ვინ იყო ქართველთა ჯარის მთავარსარდალი სულთანთან ბრძოლისას? საკუთარი მოსაზრება დაასაბუთეთ წყაროში არსებული ინფორმაციით.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე